სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს

თსუ რექტორის 2016 წლის 18 იანვრის N 05/01-01 ბრძანების - "სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს N 12/2016 2016 წლის 10 თებერვლის სხდომის დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სახელით გაცნობებთ, რომ საკონკურსო კომისიის *2016 წლის 4 მარტის* #2 სხდომის გადაწყვეტილებით, მედიცინის დოქტორი თამაზ მაღლაკელიძე არჩეულია თსუ მედიცინის ფაკულტეტის თერაპიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორად.

(ოქმის ასლი თან ახლავს).

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი

გია ლობჟანიძე

თბილისი *2016 წლის 4 მარტის*

თსუ რექტორის 2016 წლის 18 იანვრის N 05/01-01 ბრძანების - **"სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"** აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს N 12/2016 2016 წლის 10 თებერვლის სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" -დამტკიცებული

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2.

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>: პროფესორი გია ლობჟანიძე (ქირურგიის დეპარტამენტი) - კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი ალექსანდრე ალადაშვილი (თერაპიის დეპარტამენტი) - თავმჯდომარის მოადგილე, ასოცირებული პროფ. პავლე მაჭავარიანი (თერაპიის დეპარტამენტი), პროფ. თეიმურაზ ჯორბენაძე (პათოლოგიის დეპარტამენტი), მმდ ნინო გორდაძე (თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი) - კომისიის მდივანი.

<u>დღის წესრიგი:</u>

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე თერაპიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატთან, მედიცინის დოქტორ თამაზ მაღლაკელიძესთან გასაუბრება.

<u>მოისმინეს:</u>

თამაზ მაღლაკელიძის მინი მოხსენება მის მიერ მოპოვებული საერთაშორისო და ადგილობრივი პრემიების, სამეცნიერო გრანტებისა და წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფციის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, ასოცირებული პროფესორობის კანდიდატმა ასევე დეტალურად მიმოიხილა

საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც ის სთავაზობს მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

ალექსანდრე ალადაშვილმა, პავლე მაჭავარიანმა და თეიმურაზ ჯორბენაძემ. მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ თამაზ მაღლაკელიძის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ის ღირსეულ კანდიდატად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე თერაპიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 5 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე თერაპიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორის თამაზ მაღლაკელიძის არჩევას.

<u>დაადგინეს:</u>

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები.
2. მედიცინის დოქტორი თამაზ მაღლაკელიძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის თერაპიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორად.

კომისიის წევრების ხელმოწერა

გია ლობჟანიძე - პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)

ალექსანდრე ალადაშვილი - პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

თეიმურაზ ჯორბენაძე -პროფესორი

პავლე მაჭავარიანი - ასოცირებული პროფესორი

ნინო გორდაძე - მედიცინის დოქტორი (კომისიის მდივანი)